

დამტკიცებულია შპს კეონი აკადემიის დირექტორის
12.10.2020 წლის ბრძანება N 1-23
ცვლილება შესულია კეონი აკადემიის დირექტორის
2021 წლის ბრძანება N 1-20
ცვლილება შესულია კეონი აკადემიის დირექტორის
2022 წლის 2 ნოემბრის ბრძანება N 1-41

შპს კეონია აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის თანდართული წესი

2022

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები -----	3
მუხლი 2. პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დადგენა და შემუშავების პროცედურა -----	4
მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, შეფასება, შეცვლა და გაუქმება -----	8
მუხლი 4. დაწესებულებასა და სუბიექტის მიერ პროგრამის განხორციელება კოოპერაციული სწავლების ფორმით -----	12
მუხლი 5. დამატებითი დებულებები-----	13

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 ეს წესი განსაზღვრავს შპს კეონი აკადემიის (შემდეგში აკადემია) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში „პროგრამა“) დაგეგმვის,დამტკიცება/ განხორციელების,შეფასების და შეცვლის/გაუქმების პროცედურებს.

1.2 აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანების და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს N 416 დადგენილების შესაბამისად;

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები /საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის /მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;

1.4 პროგრამები ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით რაც გულისხმობს ზოგიერთი სწავლის შედეგის მიღწევას რეალურ ან/და იმიტირებულ სამუშაო გარემოში;

1.5 პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა შესაძლებელია დუალური ან კოოპერაციული სწავლებით;

1.6 კოოპერაციული სწავლება გულისხმობს აკადემიასა და ამ წესის მუხლი 4 ის 4.1 პუნქტით განსაზღვრული სუბიექტების მიერ პროგრამის ერთობლივად განხორციელებას, როდესაც შესაბამისი პროგრამის დარგობრივი მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების არაუმეტეს 50 %-ის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა ხდება რეალურ სამუშაო გარემოში;

1.4 პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს აკადემიის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევა შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ „პროფესიულ სტუდენტთა/ აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების

მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.);

1.5 პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;

1.6 აკადემიაში პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად;

1.7 პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან/საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას;

1.8 პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

მუხლი 2. პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენა და შემუშავების პროცედურა

2.1 პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;

2.2 პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

2.2.1 არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით;

2.2.2 დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;

2.2.3 პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;

2.2.4 სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად;

2.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი;

2.4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საჭიროების შესახებ ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა შეიძლება წარმოადგინოს მოხსენებითი ბარათი აკადემიის დირექტორის სახელზე; დაინტერესებული პირი შეიძლება იყოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმხორციელებელი; პარტნიორი ორგანიზაცია; დამსაქმებელი და სხვა);

2.5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინიციატორმა უნდა წარმოადგინოს არგუმენტი, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ;

2.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე ინიცირება და მიზანშეწონილობის დასაბუთება წარედგინება დირექტორს და განიხილება აკადემიის ადმინისტრაციის სხდომაზე;

2.7 აკადემიის ადმინისტრაციის სხდომაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის სავალდებულო წევრები არიან: პროგრამის ხელმძღვანელი (პირი, რომელიც მოიაზრება პროგრამის ხელმძღვანელად), სასწავლო პროცესის მენეჯერი, დარგის სპეციალისტ(ებ)ი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტი წარედგინება დირექტორს, რომელიც პროგრამის პროექტს შესამოწმებლად გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ დადებითად შეფასების შემთხვევაში ხდება პროგრამის დამტკიცება დირექტორის მიერ, რეკომენდაციების შემთხვევაში კი უზრუნველდება სამუშაო ჯგუფს გადასამუშავებლად.

2.8 სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესის მენეჯერი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი;

2.9 საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს აკადემიის დირექტორი;

2.10 პროგრამით განსაზღვრული უნდა იყოს პროგრამის სახელწოდება, პროგრამის მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის განხორციელების ფორმა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები;

2.11 პროგრამის პაკეტი მოიცავს შემდეგ დანართებს: პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალური რესურსი აღჭურვილობა, მასალა ნედლეული და მოდულები;

2.12 პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მოდულებს: ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები და არჩევითი მოდულები.

2.13 პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ-ს, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

2.14 სამუშაო ჯგუფი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

2.14.1. შეისწავლის შესაბამის საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

2.14.2 განსაზღვრავს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს

2.14.3 განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას). შესაძლებელია არჩევითი მოდულის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან გადმოტანაც. ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას სამი გარემოება: არჩევითი მოდულ(ებ)ი ვალიდური უნდა იყოს მოცემული პროგრამისათვის, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; გათვალისწინებული უნდა იქნას მოდულ(ებ)ზე დაშვების წინაპირობები; დაშვების წინაპირობა არ უნდა განსხვავდებოდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობისაგან. არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ ოდენობას.

2.14.4. აკონკრეტებს პროგრამაში გათვალისწინებული უცხოური ენის სწავლებისათვის ენას, თუ ეს დაკონკრეტებული არაა სტანდარტით;

2.14.5 იძიებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს; მიზანშეწონილია ყველა მოდულის განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული. აუცილებელია პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყოს ერთზე მეტი დარგის სპეციალისტი.

2.14.6 განახორციელებს საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას; მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ,გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს). მოდულის ან მისი

ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

2.14.7 მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია. მოდული შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს: მოდულის სახელწოდება; მოდულის სტატუსი; ზოგადი ინფორმაცია; სტანდარტული ჩანაწერები; დამხმარე ჩანაწერები; საათების განაწილების სქემა; სასწავლო რესურსი; სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლება; მოდულის განმახორციელებელი. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია. თუ მოდულის სტანდარტულ ჩანაწერებში დაფიქსირდება ხარვეზ(ებ)ი, აკადემია უზრუნველყოფს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას;

2.14.8. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს). ჯგუფი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ.

2.14.9 სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით). მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა და დასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. პროგრამაში მითითებული მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი რ ე ს უ რ ს ი (ა ლ ჭ უ რ ვ ი ლ ო ბ ა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

2.14.10. სამუშაო ჯგუფი ახდენს არსებულ რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური ალჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან და ადგენს მოსაძიებელი/შესასყიდი რესურსის სიას და დაახლოებით ხარჯთაღრიცხვას, შესასყიდი რესურსის, მასალა ნედლეულის საჭირო რაოდენობისა და ფასის გათვალისწინებით.

2.14.11 გარკვეული მატერიალური რესურსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლების მექანე პირთან, ეს უნდა განისაზღვროს წინასწარ სამუშაო ჯგუფის მიერ და შემდგომში უნდა აისახოს აღნიშნულ პირთან გაფორმებულ მემორანდუმში/ხელშეკრულებაში/შეთანხმებში.

2.14.12 სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს, შესაძლებელია უცვლელად დარჩეს მოდულებში მითითებული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას სხვა რესურსით შესაბამისი დასაბუთებით, სათანადო პირებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით. მოდულებში

მითითებული ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულების ბიბლიოთეკართან ერთად ჯგუფი ადარებს აკადემიის ფლობაში არსებულ ლიტერატურულ რესურსს და ადგენს მოსამძიებელი/შესამძენი ლიტერატურის სიას.

2.14.13 სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებსა და იძიებს პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლების მქონე სუბიექტის/პირს, ახორციელებს მოძიებულ სუბიექტთან თანამშრომლობის დოკუმენტირებას;

2.14.14 სასწავლო პროცესის მენეჯერი პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის სპეციალისტის ჩართულობით ადგენს სასწავლო გეგმას, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში); იმ შემთხვევაში თუ გარკვეული მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სასწავლო გეგმაში იყოს გათვალისწინებული მინიმუმ სამკვირიანი ინტერვალი, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა;

2.14.15 საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის საბოლოო რედაქცია დადგენილ ვადაში წარედგინება აკადემიის დირექტორს დასამტკიცებლად.

2.14.16 საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:

2.14.16.1 სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის, არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის,

2.14.16.2 სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

2.14.16.3 ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;

2.14.16.4 მოდულები;

2.14.16.5 რჩევითი მოდულები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2.14.16.6 ქართული ენის მოდულები;

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, შეფასება, შეცვლა და გაუქმება

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება/მასში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია როგორც ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წინადადებების ინიცირების გზით, ასევე აკადემიის შესაძლებლობების ფარგლებში;

3.2 საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ნაწილში ცვლილებების შეტანა, წარმოადგენს აკადემიის პრეროგატივას და არაა სავალდებულო აღნიშნული ცვლილებების განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება;

3.3 საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტულ ნაწილში შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში აკადემია დასაბუთებული არგუმენტაციით ცვლილების ინიცირებით შედის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ცენტრის უკუკავშირის შემდეგ აკადემიას უფლება აქვს ან/და არ აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტულ ნაწილში შეიტანოს ცვლილება;

3.4 . პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს.

3.5. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;

3.6. პროგრამის ცვლილების (თუ პროგრამაში იცვლება სასწავლო გეგმა, საათების, შედეგები) განხორციელებისათვის შესაძლებელია სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად.

3.7. საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.

3.8 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების/განვითარების პროცესი პროცესი

3.8.1. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს გამოკითხვას, რისთვისაც იყენებს პირისპირ ინტერვიუს ან კითხვარების ფორმებს (კონკრეტული საჭიროებების მიხედვით); ასევე შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მუშაობის თუ სწავლების ხარისხის შეფასება პროცესზე დაკვირვების მეთოდით;

3.8.2. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა: პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ხორციელდება აკადემიის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს: მოდულის შეფასებას; პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასებას; სასწავლო რესურსების შეფასებას.

3.8.3. პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ტარდება წელიწადში მინიმუმ ორჯერ ;

3.8.4 პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვა: პროფესიულ მასწავლებელთა გამოკითხვა ხორციელდება აკადემიის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საშუალებით, რაც მოიცავს მოდულის შეფასებას, სასწავლო პროცესის შეფასებას, ადმინისტრაციის შეფასებას. მოდულის შეფასებას პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ყოველი მოდულის დასრულებისას.

3.8.5 დამსაქმებლების გამოკითხვა: დამსაქმებლების გამოკითხვა ხორციელდება აკადემიის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხავრის საფუძველზე და იძლევა ინფორმაციას იმ უნარების შესახებ რომელიც პროფესიულ სტუდენტს კარგად ჰქონდა განვითარებული, იმ უნარების შესახებ რომელზეც უფრო მეტი მუშობაა საჭირო და იმ უნარების შესახებ რომელიც ახალია შრომის ბაზარზე და სასწავლო პროგრამაში გათვალისწინებული არ არის. დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად შესაძლოა შეიცვალოს სწავლისადმი მიდგომები;

3.8.6 სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგები;

3.8.7 კურსდამთავრებულთა დამსაქმების მაჩვენებელი;

3.8.8 პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა/მობილობის სტატისტიკის ანალიზი;

3.9 ყველა ზემოთჩამოთვლილი გამოკითხვიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე მოხდება:

გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;

დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;

ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

3.9.1 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;

3.9.2 დაინტერესებული მხარეები განისაზღვრება პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების მიერ.

3.10. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროების მიხედვით) ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით.

3.11. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან .გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების

კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად.

3.12. პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე(მათთან ცვლილების განხილვის და თანხმობის შემთხვევაში), საჭიროების შემთხვევაში განსხვავებული სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეული იქნას მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

3.13 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.14. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში (მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში),აკადემიისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. შესაბამისად, აკადემიის არსებობს პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა შეცვლილი ან გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების გათვალისწინებით.

3.15. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას აკადემია ახორციელებს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის/დონის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.

ბ)ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

დ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

3.16 საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების, შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში აკადემია პროფესიულ სტუდენტს წერილობით ატყობინებს აღნიშნულ ინფორმაციას;

3.17. დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიული სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის განვითარების მენეჯერი ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/ მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს დირექტორს;

მუხლი 4. დაწესებულებასა და სუბიექტის მიერ პროგრამის განხორციელება კოოპერაციული სწავლების ფორმით;

4.1 აკადემიასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლება აქვს მეწარმე/სუბიექტს/იურიდიულ პირს ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიკრო/მცირე ბიზნესის სტატუსის/ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს;

4.2 აკადემიასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით ან მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვის ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება;

4.3 კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების უფლების მქონე სუბიექტების მიერ მე-4 მუხლის 4.2 პუნქტში განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად:

4.3.1 ფასდება აღნიშნული სუბიექტის პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია;

4.3.2 სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს მის ბაზაზე გატანილი სწავლის შედეგების/პროგრამის მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

4.3.3 სუბიექტმა უნდა წარმოადგინოს მის ბაზაზე გატანილი სწავლის შედეგის/პროგრამის მოთხოვნის შესაბამისი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;

4.3.4 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზიას/ნებართვის ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში წარმოადგინოს შესაბამისი ლიცენზია/ნებართვა.

მუხლი 5. დამატებითი დებულებები

5.1 წინამდებარე წესი დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. ნებისმიერი ცვლილებების და დამატებების შეტანა ამ წესში ხდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.